ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

-- აგვისტო 2025 წელი ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა #----------

ქალაქ ბათუმში, მიხეილ შარაშიძის მე-V ჩიხის ქუჩად ჩამოყალიბებისა და გია ყანჩელის სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

2025 წლის 2 ივლისს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ბათუმში, შარაშიძის მე-V ჩიხის მცხოვრებთა კოლექტიური წერილი (N19/15251835-15), სადაც აღნიშნულია, რომ შარაშიძის მე-V ჩიხი არ წარმოადგენს ჩიხს, არის გამჭოლი ქუჩა (იწყება მიხეილ შარაშიძის N103 (ს/კ: 05.31.07.709), მომიჯნავე N105 (ს/კ: 05.31.07.710)-დან და გრძელდება თოდოგაურის დასახლების N37-მდე) და ითხოვენ ქალაქ ბათუმში მიხეილ შარაშიძის მე-V ჩიხის ქუჩად ჩამოყალიბებას, ქუჩის სახელის შერჩევაში კი გვიცხადებენ სრულ ნდობას.

მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის სხდომაზე, კომისიის წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა „ბათუმი - საქართველოს კულტურის დედაქალაქი 2025“-ს ფარგლებში, მსოფლიოში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, სსრკ -ის სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურიატის და ღირსების ორდერის კავალერის **გია ყანჩელის** პატივსაგებად, შემდგომში ჩამოყალიბებულ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, საიდანაც გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გია ყანჩელის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი. საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის მიერ და მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გამონაკლისის დაშვება საერთო წესიდან, რომელიც უკავშირდება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.ქალაქ ბათუმში, მიხეილ შარაშიძის მე-V ჩიხის ქუჩად ჩამოყალიბებისა და **გია ყანჩელის** სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე სახელდებისათვის განსაზღვრული 20 წლიანი ვადის შემცირების მიზნით, დაშვებული იქნას გამონაკლისი.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა 30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი თავდგირიძე

პროექტი

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმში, მიხეილ შარაშიძის მე-V ჩიხის ქუჩად ჩამოყალიბებისა და გია ყანჩელის სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

2025 წლის 2 ივლისს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა, ქალაქ ბათუმში, შარაშიძის მე-V ჩიხი N14-ში მცხოვრები მოქალაქე ოთარ ჯორბენაძის კოლექტიური წერილი N19/15251835-15. წერილში აღნიშნული იყო, რომ შარაშიძის მე -V ჩიხი არ წარმოადგენდა ჩიხს და არის გამჭოლი ქუჩა (იწყება მიხეილ შარაშიძის N103(საკ:05.31.07.709) და მომიჯნავე N 105(საკ:05.31.07.710)-დან და უკავშირდება თოდოგაურის დასახლების N37). აქვე, აღნიშნულია, რომ ქუჩის სახელის შერჩევაში მოსახელობა გვიცხადებს სრულ ნდობას.

ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების სააგენტოს, კახაბრის ადმინისტრაციული ერთეულის სერვისცენტრიდან 2025 წლის 16 ივლისს მიღებული წერილით N37-1425197534 დასტურდება (საკადასტრო, სატელიტური, ტოპოგრაფიული და სქემატური მასალებით), რომ მიხეილ შარაშიძის ქუჩის ეგრეთ წოდებული „მე-V ჩიხი“ N103(საკ:05.31.07.709) და მომიჯნავე N105(საკ:05.31.07.710)-დან დაწყებული თოდოგაურის დასახლების N37-მდე მონაკვეთი წარმოადგენს გამჭოლ ქუჩას და 2011 წლის 12 სექტემბრის N234 განკარგულებით მოხდა ჩიხის სახელდებით რეგისტრაცია და მიენიჭა შარაშიძის მე-V ჩიხი, რაც შეცდომაა.

ვინაიდან ზემოთ ხსენებული ჩიხი გამჭოლია და რეალურად წარმოადგენს ქუჩას, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ქუჩად და მიენიჭოს შესაბამისი სახელი.

მიმდინარე წლის 27 აგვისტოს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის კომისიის სხდომაზე კომისიის წევრთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა „ბათუმი - საქართველოს კულტურის დედაქალაქი 2025“-ს ფარგლებში, მსოფლიოში ცნობილი ქართველი კომპოზიტორის, სსრკ -ის სახალხო არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურიატის და ღირსების ორდერის კავალერის **გია ყანჩელის** პატივსაგებად, შემდგომში ჩამოყალიბებულ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

გია ყანჩელის შემოქმედებით მემკვიდრეობას განეკუთვნება:

ოპერა „და არს მუსიკა“ (1983წ.), 6 სიმფონია, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისათვის (1962 წ.); ლარგო და ალლეგრო სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის (1963 წ.); „სევდა ნათელი“ - ბიჭუნათა გუნდის, ორი სოლისტისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის (1985 წ.); მუსიკა სპექტაკლებისთვის: „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“; (შოთა რუსთაველის თეატრის დადგმები).

მუსიკა კინოფილმებისთვის: „არ დაიდარდო“, „ქვევრი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „მიმინო“, „შერეკილები“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „როცა აყვავდა ნუში“ და სხვა.

ბატონი **გია ყანჩელი** გახლდათ არაერთი ჯილდოს და პრემიის მფლობელი:
1977 - საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია
1980 - საქართველოს სახალხო არტისტი
1981 - საქართველოს სახელმწიფო პრემია
1981 - საკავშირო კინოფესტივალის სპეციალური პრიზი
1981 - შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია
1987 - პრიზი „ნიკა“, კინომუსიკისათვის
1988 - სსრკ სახალხო არტისტი
1995 - ღირსების ორდენი
2008 - ვოლფის პრემია ხელოვნებაში

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, საიდანაც გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ბატონი **გია ყანჩელის** გარდაცვალებიდან (დ. 1935- გ.2019) არ არის გასული 20 წელი. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია წარმოგიდგენთ ინიცირებას - **ქალაქ ბათუმში, მიხეილ შარაშიძის მე-V ჩიხის ქუჩად ჩამოყალიბებისა და გია ყანჩელის სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.**

ა) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმში, მიხეილ შარაშიძის მე-V ჩიხის ქუჩად ჩამოყალიბებისა და **გია ყანჩელის** სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის საკრებულოს მიერ გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ დადაწყვეტილებას.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისია.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

ვ) პროექტის ინიციატორი:

შესაბამისი ქუჩის მაცხოვრებლები და საკრებულოს განათლების, კულტურის,

ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ნატალია ძიძიგური**